



სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ანგარიში,

2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ჩემო თანამოქალაქენო! ბატონო კოლეგებო! პატივცემულო სტუმრებო!

უდიდესი პატივია, წარვსდგე თქვენ წინაშე და განვაცხადო, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო, უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, ევროპული ქარტიის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტისა და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

ჩემთვის, როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქის, საკრებულოს წევრისა და საკრებულოს თავმჯდომარისათვის, პრიორიტეტს წარმოადგენდა და წარმოადგენს სამართლიანობა, ადამიანური ღირებულებების პატივისცემა, პოლიტიკური სტაბილურობა, ქვეყნის აღმშენებლობა და გაერთიანება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 35-ე მუხლის „1“-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ანგარიშვალდებულების გამო, მე როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, წარმოგიდგენთ ანგარიშს 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

გულწრფელად გიხდით მადლობას ბატონო კოლეგებო! რომ კიდევ ერთხელ მხარი დაუჭირეთ ჩემს კანდიდატურას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულო, კანონის შესაბამისად, მითითებულ დროში შეიკრიბა და 2021 წლის 3 დეკემბრიდან შეუდგა თავისი ფუნქციის შესრულებას. აღსანიშნავია, რომ III და IV მოწვევის საკრებულოსაგან განსხვავებით, V მოწვევის საკრებულოს სტრუქტურა, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად შეიცვალა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები განისაზღვრა 3 ერთეულით:

ა) პირველი მოადგილე.

ბ) მოადგილეები.

ქალბატონებო! და ბატონებო! თითოეული თქვენგანისათვის კარგად არის ცნობილი, საქართველოს მთავრობის სურვილი და გადაწყვეტილება, „რაც შეიძლება მეტი ქალბატონი პოლიტიკაში, მათი აქტიური ჩართულობა ქვეყნის მმართველობის სხვადასხვა რგოლში“.

შეგახსენებთ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის III მოწვევის საკრებულოში 2 ქალბატონი ბრძანდებოდა, IV მოწვევის საკრებულოში 4 ქალბატონი, ხოლო V მოწვევის საკრებულოში (მუშაობის პერიოდი 2021-2025 წ.წ.) 7 ქალბატონი ბრძანდება, რომლებიც აქტიურად იღებენ მონაწილეობას, მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურული პროექტებისა და პოლიტიკური ვითარების განხილვის პროცესში. ჩვენთვის, ვაცხადებ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, თქვენს მიერ ქალბატონი ნათიას, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევა სასიამოვნო ფაქტია და თქვენი მხრიდან კიდევ ერთხელ ნათელი დასტური, საქართველოს მთავრობის გონივრული გადაწყვეტილებების მხარდაჭერის. ამავე დროს, ქალბატონი ნათია არის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე და იმერეთის რეგიონის პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს, ქალთა ორგანიზაციის გამგეობის წევრი და ამავე ორგანიზაციის ჯანდაცვის მიმართულების ხელმძღვანელი.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ბატონი ვაჟა სტურუა, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს აქტიური წევრი 2012 წლიდან, ახალგაზრდა, შრომისმოყვარე, პერსპექტიული კადრი და „ქართული ოცნების ძველი გვარდიის“ იდეების ღირსეული გამგრძელებელი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ბატონი ვალერიანე ფოცხვერია, მხარდატვირთული უდიდესი გამოცდილებით, 2014-2022 წლები.

ა) 2014-2017 წლები სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა - „გამგებელი“.

ბ) 2017-2021 წ.წ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია, „მერი“.

არის სამტრედიის მუნიციპალიტეტის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს პარტიის თავმჯდომარე 2013 წლიდან.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულო მრავალპარტიულია და შედგება 33 წევრისაგან. აქედან 24 პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრია, პარტია „ლელო“-ს 1 წევრი, პარტია „საქართველოსთვის“ 1 წევრი და პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 7 წევრი.

2022 წელს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ბიუროს, კომისიების და ფრაქციების მუშაობის ანგარიში

საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, საკრებულოს მორიგი სხდომები იმართება ყოველი თვის პირველ ორშაბათს, 11⁰⁰ სთ-ზე. მიმდინარე წლის 4 აპრილს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლისპირველი და მეორე ნაწილის და „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილების მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაამტკიცა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმა, რომელსაც თან ახლავს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაწილების ბიუროს, ბიუროს და საკრებულოს სხდომების ჩატარების გრაფიკი, რომელსაც თქვენ, ბატონო კოლეგებო, მხარი დაუჭირეთ. სამუშაო გეგმა დაფუძნებულია, მუნიციპალიტეტის 2022 წ. საფინანსო-საბიუჯეტო პროგრამების განხორციელებაზე, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე, სხვადასხვა ფონდებიდან ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხიანად და დროულად შესრულებაზე, განათლებისა და კულტურის სფეროს კიდევ უფრო განვითარებასა და გაჯანსაღებაზე, მომავალ თაობებში ეროვნული იდენტობის ამაღლებასა და დემოკრატიული მსოფლმხედველობის განვითარებაზე. თქვენ, ბატონო კოლეგებო! ამ გეგმების შესასრულებლად

ბრძანდებით საკრებულოს ბიუროს შემადგენლობაში და დარგობრივად გაერთიანებული ხართ, სხვადასხვა კომისიებსა და ფრაქციებში.

როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი წევრი, გაერთიანებული ვარ, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს რიგებში და ვასრულებ საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მითითებებსა და დავალებებს.

მუნიციპალიტეტის III და IV მოწვევის საკრებულოში გახლდით გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო V მოწვევის საკრებულოში ვარ მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი. შესაძლებლობისდაგვარად მონაწილეობას ვღებულობ საბჭოს მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და ღონისძიებებში.

მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობაში 11 წევრია. აქედან 2 ქალბატონი. ბიუროს სხდომები იმართება, მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაწილების ბიუროს, ბიუროსა და საკრებულოს სხდომების გრაფიკის მიხედვით, სამუშაო წლის მანძილზე, საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებული დებულების (რეგლამენტის) მიხედვით.

მიმდინარე წლის განმავლობაში დღემდე ჩატარებულია განაწილების ბიუროს და ბიუროს 46 სხდომა. აქედან რიგითი 26 და რიგგარეშე 20 .

ხოლო რაც შეეხება საკრებულოს სხდომებს, დღეს მიმდინარე სხდომის ჩათვლით ჩატარებულია 19, (რიგითი 11 და რიგგარეშე 8) სხდომა. არ ყოფილა საკრებულოს და ბიუროს სხდომების გადადების, ჩაშლისა და უდროოდ ჩატარების არც ერთი შემთხვევა. ბატონო კოლეგებო! ყოველივე ეს, კიდევ ერთხელ მიუთითებს, თქვენს პასუხისმგებლობასა და კანონის უზენაესობის დაცვაზე. გმადლობთ, თანადგომისათვის.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს 5 კომისია.

1. საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიას, ხელმძღვანელობდა ბატონი, მერაბ უღრელიძე. რომელიც ბოლომდე იხარჯებოდა, პირნათლად და მისთვის დამახასიათებელი სიდინჯით, ასრულებდა საკუთარ მოვალეობას.
 - კომისია შედგება **13** წევრისაგან.
 - დღემდე ჩატარებულია 18 სხდომა.

თითოეულ ჩვენთაგანს, ქვეყანაში ფუნდამენტალური დემოკრატიული პრინციპების არსებობის გამო, გვაქვს განსხვავებული აზრის ჩამოყალიბებისა და გამოხატვის საშუალება. იქმნება

ახალი ორგანიზაციები და პარტიული გაერთიანებები, რა ხანია პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა ახალი მოძრაობა „ხალხის ძალა“, რომლის შემადგენლობა დღით-დღე იზრდება, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მათ რიგებში საკუთარი პოლიტიკური სურვილით გადასული „ჩვენი მეგობრები“, თავიანთი მწიგნობრობით და პოლიტიკური გამოცდილებით გააგრძელებენ სამსახურს ქვეყნის აღმშენებლობისათვის.

2. ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია. ხელმძღვანელი ბატონი ტარიელ ცომაია. ბატონი ტარიელი V მოწვევის საკრებულოს ახალი წევრია. გამოირჩევა ენთუზიაზმით და პოზიტიური აზროვნებით, რომელიც პატივს სცემს კოლეგების განსხვავებულ აზრს.
 - კომისია შედგება 14 წევრისაგან.
 - დღემდე ჩატარებულია 15 სხდომა.
3. იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვისა და საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია, 7 წევრით. კომისიას ხელმძღვანელობს გამოცდილი იურისტი, ქალბატონი მანანა სირბილაძე. პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი. გამოირჩევა პირდაპირობითა და საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებით.
 - ჩატარებულია 14 სხდომა.
4. განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია. ხელმძღვანელი: ახალგაზრდა, შრომის ერთგული, პერსპექტიული პიროვნება, ბატონი ირაკლი მელაშვილი.
 - კომისია შედგება 12 წევრისაგან.
 - დღემდე ჩატარებულია 9 სხდომა.
5. შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისია. ხელმძღვანელი: ღირსეული ქართველი, პედაგოგი, „გაჭირვებულთა შვიების მომვრელი, თავისი სამსახურეობრივი მოვალეობის ღირსეული შემსრულებელი, ბატონი გიორგი ლეჟავა.
 - კომისია შედგება 9 წევრისაგან.
 - ჩატარებულია 7 სხდომა.

მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს 2 ფრაქცია.

- 1) ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - ხელმძღვანელი, ბატონი ტარიელ დვალიშვილი.
- 2) ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ხელმძღვანელი, ბატონი ემზარ შუბლაძე.

ბატონი ტარიელ დვალიშვილი მუნიციპალიტეტის III, IV და V მოწვევის საკრებულოში ღირსეულად ხელმძღვანელობდა და დღესაც ხელმძღვანელობს ფრაქცია „ქართული ოცნება-

დემოკრატიულ საქართველო“-ს. ფრაქცია აქტიურად არის ჩართული, მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში. თუმცა, შესაძლებელი იყო კიდევ უფრო მეტი გაკეთებულიყო. მიღწეულით არ უნდა დაკმაყოფილდეთ.

ვიყოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ბატონო კოლეგებო! ღირსეული პატივია. მაგრამ ამავე დროს მაჟორიტარი დეპუტატის რანგი, უფრო საინტერესო, მრავალფეროვანი და ამომრჩეველთა წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობით დატვირთული საფეხურია.

მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოში 11 მაჟორიტარი დეპუტატი: 3 ქალაქში, ხოლო 8 კი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში. მაჟორიტარ დეპუტატთა შორის ერთი ქალბატონია.

ამომრჩეველთა წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით გახლდათ გაჯერებული, მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს უმრავლესობის შეხვედრაზე, მაჟორიტარი დეპუტატების მიერ, 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა. შეხვედრა საკრებულოს ხელმძღვანელთა ინიციატივით მოხდა. მაჟორიტარი დეპუტატები, თავიანთი სამაჟორიტარო უბნის, მერიის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან ერთად, წარდგინენ ფართო საზოგადოების წინაშე. შეხვედრა მეტად საინტერესო და საქმიან ვითარებაში წარიმართა. გამოიკვეთა ახალი, 2023 საფინანსო წლის გეგმები, მოსახლეობის საფუძვლიანი მოთხოვნები და სურვილები.

1. ქალაქის მასშტაბით ძირითადად გამოიკვეთა წყალ-კანალიზაციისა და სანიაღვრე სისტემების მოწესრიგებისა და რეაბილიტაციის პრობლემები.
2. საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.
3. პარკების, სკვერების და საერთოდ მწვანე სივრცეების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნების მოწყობა.

რაც შეეხება სოფლებს ზოგადად და მათ შორის:

1. გაღმა ზონისათვის უმთავრეს პრობლემად რჩება წყლის სისტემების მოწესრიგება.
2. ქუჩების მოხრეშვა და ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება.
3. საცხოვრებელი ბინის გადახურვა. (ტოლები, გამოჩინებულის მაჟორიტარი დეპუტატი, ილია მჭავია. სოფელ ტოლებში).
4. სოფლის ცენტრალური და შიდა საუბნო წყალანიერების გაწმენდა - გაღრმავება.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ბატონი, დავით ჯანელიძის, ინიციატივა და წინადადება, სოციალურად დაუცველი, უსახლკარო ადამიანებისათვის, თავიანთ კუთვნილ მიწაზე, დაახლოებით 30,0 ათ. ლარის ფარგლებში საცხოვრებელი ფართის, ეტაპობრივად აშენებასთან დაკავშირებით, რომლის განსახორციელებლად საჭიროა სოციალურ პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას შესაბამისი თანხები. აღნიშნული წინადადება, ჩვენი მხრიდან, მიეწოდება მერიის შესაბამის სამსახურს, ახალი 2023 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად.

სავსებით სამართლიანი და სწორი წინადადება იქნა გამოთქმული საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის, გოჩა არველაძის, მხრიდან კულაშის ყოფილი ზოო-ვეტერინალური ტექნიკუმის ეზოს შესახებ. აღნიშნული ტერიტორია ეკუთვნის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. საკითხი არაერთგზის იდგა განსახილველად. სამწუხაროდ, იგი დღესაც არ არის გადაწყვეტილი. ანალოგიური ვითარებაა ეწრის ყოფილი „საბავშვო სახლი“-ს მიმართ. აღნიშნული საკითხები მოსაგვარებელია.

განათლება, ახალგაზრდა კადრებთან ურთიერთობა და მათი ჩართულობა საჯარო სამსახურში

მომავალ თაობაზე ზრუნვა, ახალგაზრდა კადრების გამოვლენა და მათთვის შესაძლებლობის ფარგლებში ხელსაყრელი პირობების შექმნა ჩვენი უპირველესი ვალდებულებაა. სასიამოვნოა ის გარემოება, რომ ისე, როგორც საკრებულოში, ასევე მერიაში ახალგაზრდა თაობამ ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი და უფროს თაობასთან ერთად ჩადგა ქვეყნის აღმშენებლობის ფერხულში.

ზემოდ აღნიშნულის კიდევ ერთი ნათელ დასტურს წარმოადგენს, მერიის კულტურის სამსახურის თაოსნობით, 7 სექტემბერს გამართულ შეხვედრაზე წარმატებული აბიტურიენტებისათვის (სტუდენტები) საჩუქრების გადაცემა და ცოდნის მწვერვალებისაკენ მიმავალი გზების დალოცვა. 50%-იანი გრანტის მფლობელი-37, 70%-იანის - 14, 100%-იანის - 10 და კიდევ გრანტს მიღმა დარჩენილი რამდენიმე ასეული სამტრედიელი ახალგაზრდები, შესაბამისი განათლების მიღების შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ღირსეულად გააგრძელებენ ერთგულებასა და სიყვარულს სამშობლოს მიმართ.

ახალი 2022-2023 სასწავლო წელი, ჩვენს მუნიციპალიტეტში, ისე როგორც მთელს ქვეყანაში 15 სექტემბერს დაიწყო 34 საჯარო და 2 კერძო სკოლაში. სულ 6683 მოსწავლეა, მათ შორის 576 პირველკლასელია, რომლებმაც მიიღეს იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და კომპიუტერები.

საკრებულოს წევრები და ხელმძღვანელები ცოდნის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას, ჩვენს მშობლიურ სკოლაში დავესწარიტ. „წამით გაცოცხლებული ბავშვობა, მარადიული, სიცოცხლის ბოლომდე გამყოლი“.

ცოდნის მიღების, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის პირველი ეტაპი - „ბაგა-ბალები“. აღნიშნულ დაწესებულებებს ურთულესი ფუნქციის შესრულება უწევთ, ნორჩი თაობის აღზრდისა და მათთვის ფუნდამენტალური განათლების გადაცემისათვის. მადლობა მათ გაწეული სამსახურისათვის. აუცილებელია კვალიფიციური და გამოცდილი კადრების ყოფნა ამ დაწესებულებებში და სათანადო, თანამედროვე მოთხოვნებით გათვალისწინებული ობიექტების არსებობა. 19 სექტემბერს მუშაობა განახლდა

მუნიციპალიტეტის 24 ბაგა-ბაღში. საკრებულოს წევრები, მაჟორიტარი დეპუტატები, მუნიციპალიტეტის მერი, მერიის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელები და ა.ა.ი.პ.სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ წარმომადგენლები საჭიროებისამებრ ვსტუმრობთ აღნიშნულ დაწესებულებებს, რათა დროულად გათვალისწინებულ იქნას არსებული ხარვეზები და უპირველესი პრობლემები.

განათლება, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამას ნათელ ჰყოფს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ 2022-2024 წლებში ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილია 800 ერთეული სკოლის მშენებლობა და რეაბილიტაცია (ეს პროცესი უკვე დაწყებულია), აქედან 400 ერთეულია ხალი სასწავლო-სააღმზრდელო ობიექტი შეემატება ჩვენს ქვეყანას. ფრიად სასიამოვნო გახლავთ ის გარემოება, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში მალე დაიწყება ქალაქის მე-5 (მოსწავლეთა რაოდენობა 450) და ნაბაკევის (მოსწავლეთა რაოდენობა 350) საჯარო სკოლების მშენებლობა. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე, ქალაქის უძველეს მე-12 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. უახლოეს ხანში დაიწყება ანალოგიური სამუშაო პროცესები ჩხენიშის საჯარო სკოლაშიც.

„ნორჩი თაობისათვის“ პირველსაწყისი განათლების მიღებისათვის, სოფელ იანეთში, მიმდინარეობს ახალი, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ბაღის მშენებლობა.

საჯარო მოხელეთა ინტეგრაციის

პ რ ო გ რ ა მ ა

ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ს.ს.ი.პ ზურაბ ჭვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, წარმართავს საჯარო მოხელეთა ინტეგრაციის პროგრამას, რომლის მიზანია სამუშაო გარემოში ეროვნული უმცირესობათა საჯარო მოხელეებისათვის, პროფესიული უნარების, ზოგადი და დარგობრივი ენის განვითარება, მათთვის სახელმწიფო ენის წარმატებით გამოყენების ხელშეწყობა და ქართულენოვან კოლეგებთან თანამშრომლობა. ამ პროგრამის ფარგლებში, ჩვენს მუნიციპალიტეტში სწავლების ერთგვირიანი კურსი, ზ.ჭვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პრაქტიკის „ტრენერების“ ნ.სანაძისა და ირ. მაჭავარიანის ხელმძღვანელობით გაიარეს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ვახტანგისის ადმინისტრაციულ ერთეულში, მერის წარმომადგენელმა, იბრაგიმ ხალილ ბაირამოვმა და დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ამამლოს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელმა, მურადინ იუსუბოვმა.

მიმდინარე წლის 21 სექტემბერს, „ღვთისმშობლობის“ დღეს, საკრებულოს თავმჯდომარისა და მოადგილეების ინიციატივით, მუნიციპალიტეტის „სტუმრები“

მოწვეულნი იყვნენ საკრებულოში და ძირეულად გაეცნენ პროცედურულ და სტრუქტურულ საკითხებს. ამომწურავი და საჯარო ინფორმაცია მიიღეს საკანონმდებლო ორგანოს წევრების, კომისიების, ფრაქციებისა და საკრებულოს აპარატის მუშაობის შესახებ. ურთიერთთანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, შეხვედრა საინტერესოდ დამომავალში მუნიციპალიტეტებს შორის მეგობრული და საქმიანი ურთიერთობათა გეგმებით გაჯერებულ, საქმიან ატმოსფეროში წარიმართა. ამ შეხვედრის მონაწილენი დარბაზში ბრძანდებიან. ყოველივე ზემოდ აღნიშნულს, 13 სექტემბერს, ქ.ქუთაისში გაფორმებული მემორანდუმიც ადასტურებს.

სამი ღვთაებრივი საგანძური გაგვაჩნია ჩვენ, ქართველთა გენს. წინაპართაგან ბოძებული მამული, ენა სარწმუნეობა. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“. რაც ყოვლად დაუშვებელია. ქართული ენა საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და მისი სახელმწიფოებრიობის აუცილებელი პირობაა. საქართველოს სახელმწიფო თავის ყველა ფუნქციას ამ ენაზე ასრულებს, იცავს მას და უფრო ხილდება მის სიწმინდეს. თითოეული მოქალაქის მოვალეობაა პატივი სცეს მშობლიურ ენას. ამ პრინციპით ვმუშაობთ საკრებულოს ხელმძღვანელები, საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები, რათა საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული და სამართლებრივი აქტები შეესაბამებოდეს ქართული ენის მართლწერის საკითხებს, ყოველივე ეს საკრებულოს ხელმძღვანელთა კატეგორიული მოთხოვნაა.

ბატონო კოლეგებო, მინდა შევეხო მსოფლიოში შექმნილ საომარ ვითარებას, რუსეთ უკრაინის ომს, რომელიც უკვე თითქმის ცხრა თვეა მძვინვარებს. ქვეყანას ყოველთვის ჰყავდა შინაური და გარეშე მტრები. ომის მსურველთა სურვილები გაცამტვერდა, რასაც ვერ ეგუებოდნენ, კვლავაც ლამობენ ქვეყნის ომში ჩართვას. მთავრობის გონივრული პოლიტიკის შედეგად, „ბეწვის ხიდზე“ გავიარეთ, ვინარჩუნებთ მშვიდობიან კურსს. სოლიდარობას ვუცხადებთ და დახმარების ხელს ვუწვდით უკრაინელ ხალხს. შეგახსენებთ, რომ „ჩვენ უკრაინისათვის“ საქველმოქმედო მარათონში, რომელიც ორგანიზებული იყო საზოგადოებრივი არხისა და წითელი ჯვრის მიერ, აქტიურად ჩაერთვნენ, მერიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელები, საკრებულოს წევრები, მერიის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები, რიგითი მოქალაქეები, სამეწარმეო საფინანსო და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციები. ქვეყნის მასშტაბით საქველმოქმედო ფონდში გადაირიცხა 600,0 ათ. ლარი. მუნიციპალიტეტის სახელით, მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან, 20,0 ათ. (ოცი ათასი) ლარი და საკრებულოს წევრებისა და საჯარო მოხელეთა სახელით 1530 (ათას ხუთას ოცდაათი) ლარი. გაგზავნილ იქნა ამავე დროს,

პირველადი მოხმარებისა და სხვადასხვა სახის სასურსათო პროდუქტები და წამლები ამანათის სახით. (მოხსენებას თან ახლავს ს.ს. „თიბისი ბანკის“ ქვითარი).

ბატონო დარბაზის წევრებო! რადგან ომის თემას შევხებით არ შეიძლება გვერდი აუაროთ ჩვენს უდიდეს გულისტკვილს, ქვეყნის უახლოეს ისტორიაში, ომით გამოწვეული ვითარების გამო: 9 აპრილს, 91-92 წლების „ძმათა ომს“, 27 სექტემბერს, 8 აგვისტოს, შინდისის გმირებს, ვეტერანთა ხსოვნის დღესა და რუსეთ-უკრაინის ომში დაღუპულ ქართველებს.

მტერთან ბრძოლის უმთავრეს იარაღს, მე ქვეყნის გაერთიანებაში ვხედავ. ურთიერთ შუღლი, მტრობა, გაუტანლობა ქვეყნის დამანგრეველია. ამიტომ ვფიქრობ, რომ სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა დაღვრილი სისხლი, ქვეყნის გაერთიანების სიმბოლო გახდება, მხოლოდ სამშვიდობო პოლიტიკის გატარებით, აფხაზ და ოს მეგობრებთან ძმობის გაღრმავებით შევძლებთ ქვეყნის გაერთიანებას. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები, საკრებულოს წევრები, მერიისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები, ახალგაზრდა თაობასთან ერთად, ტრადიციულად პატივს მივაგებთ გმირთა ხსოვნას დიდების მემორიალთან და საფლავებთან.

გთხოვთ, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ გმირების მარადიულ ხსოვნას.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან შეხვედრა

მოსახლეობასთან კომუნიკაცია, მათთან ერთად არსებულ საჭიროებებზე საუბარი მნიშვნელოვანია.

2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის 660 000 ლარი გამოიყო. თანხას რულად მოხმარდასოფლადმცხოვრებ მოსახლეობის საჭიროებებს დამათმიერ გამოკვეთილი იპრიორიტეტების შესაბამისად დაიხარჯა.

ადმინისტრაციულ თეულებში, დასახლებების საერთოკრებები დასაკონსულტაციო შეხვედრები, მუნიციპალიტეტის 14 ადმინისტრაციული ერთეულის 50 სოფელში ჩატარდა.

სოფლის კრებებს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მართავდნენ, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები და საკრებულოს ხელმძღვანელი პირები.



საინტერესოდ და საქმიან ვითარებაში წარიმართა სოფლის კრებები იანეთის, მელაურის, ღანირისა და კულაშის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებსა და უბნის მცხოვრებლებთან. გამოიკვეთა საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატთა სერიოზული შენიშვნა ადმინისტრაციულ ერთეულებზე, „სოფლის პროგრამის“ ფარგლებში განაწილებული თანხების გამო. აღნიშნული გარემოება გასათვალისწინებელია. საკრებულოს ხელმძღვანელი პირები, საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან და მერიის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან ერთად კონტროლსა და დახმარებას ვუწევდით „სოფლის პროგრამის“ ფარგლებში, განსახორციელებელი სამუშაოების შესრულებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულია 5 საკრებულოს სხდომა.

საკრებულოს ხელმძღვანელები სისტემატიურად ვანხორციელებთ შეხვედრებს მოქალაქეებთან. ვეცნობით მათ პრობლემებს, საკრებულოს დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეებთან ერთად ვპოულობთ პრობლემების გადაჭრისა და მოგვარების გზებს.

გამწვანების და დასუფთავების აქცია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, მერიის შესაბამისი სამსახურები და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას ვღებულობთ ისეთ სამამულიშვილო საქმიანობაში, როგორცაა: „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველო“-ს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში: „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“, „დედამიწის დღე“, „მყარი ნარჩენების მართვა“, „კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში“. მიმდინარე წლის 17 სექტემბერს გამართული დასუფთავების აქცია, ნათელი დასტური არის მუნიციპალიტეტის მხრიდან, ზემოდ აღნიშნული პროექტების მხარდაჭერის.

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში, რწმუნებულთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს მუშაობა

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში, რწმუნებულთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს სხდომა, სამ თვეში ერთხელ იმართება. სადაც ხდება მუნიციპალიტეტების ინტერესების წარმოდგენა და სამუშაო პროექტების მოწონება. საკონსულტაციო საბჭოს სხდომებზე აქტიურად მონაწილეობას ვღებულობთ საკრებულოს ხელმძღვანელები.



სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

საკრებულოს აპარატი, რეგლამენტის შესაბამისად, შეუფერხებლად უწევს ორგანიზებას საკრებულოს სხდომებს, ფრაქციებისა და კომისიების მუშაობას.

აპარატი 12 თანამშრომლითაა დაკომპლექტებული. აქედან 9-შტატით გათვალისწინებული და 3-ხელშეკრულებით აყვანილი.

საკრებულოს გამართულ საქმიანობას და საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებაში ხელშეწყობას უზრუნველყოფს, საკრებულოს აპარატი.

დანერგილ ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემაში წარმატებული საქმიანობის შედეგად, საკრებულოს ყველა წევრი, დროულად და სრულყოფილად იღებს საკრებულოს სხდომებზე განსახილველ საკითხებს, მოქალაქეების განცხადებებს, კომისიის და ფრაქციების დღის წესრიგს და სხვა სახის დოკუმენტაციას.

შემოსული წერილები და კორესპოდენციები აღრიცხულია სათანადო წესის დაცვითა და დროულად არის მიწოდებული ადრესატამდე.

დაცულია ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება.

2021 წლის 4 ივნისიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ელექტრონული დოკუმენტბრუნვა ხორციელდება ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ პროგრამაში (MSDA). აღნიშნული პროგრამითსარგებლობს აპარატის ყველა თანამშრომელი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეებმა, მიმდინარე წელს, ორჯერ წარმოადგინა ანგარიში, გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს აპარატის თითოეულისაჯარო მოხელე პასუხისმგებლობით ეკიდება მათთვის კანონით დადგენილი სამუშაო ფუნქციების შესრულებას. **აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აპარატის საჯარო მოხელეები მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან ერთად, საკუთარი სახრებით, საჭიროებისამებრ, სოციალურ და ფინანსურ დახმარებას უწევენ მრავალშვილიან სოციალურად დაუცველ ოჯახებს, მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს, მოხუცებს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.**

სამტრედიის მკვიდრს, (3 წლის) თაზო ხელაძეს, რომელსაც დაუდგინდა ლეიკემიის დიაგნოზი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და აპარატის საჯარო მოხელეთა მიერ, დახმარების სახით გადაერიცხა 500 (ხუთასი) ლარი. (მოხსენებას თან ახლავს საქართველოს ბანკის გადახდის ქვითარი).

თქვენს წინაშე კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო მათ გაწეული მუშაობისათვის.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომების გაშუქების შესახებ

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომების გაშუქება და საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებამდე ინფორმაციის მიწოდება წარმოებს გაზეთ „სამტრედიის მაცნე“-ს, ტელეკომპანია „ზარი“-ს და ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საინფორმაციო ცენტრი“-ს დახმარებით. ბატონო კოლეგებო! საკრებულოს სახელით, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის უძველეს მემკვიდრეს, 92 წლის ბეჭდვითი სიტყვის უანგარო ქომავს, გაზეთ „სამტრედიის მაცნე“-ს, მის შემოქმედებით კოლექტივს. მადლობა ტელეკომპანია „ზარი“-ს და

საინფორმაციო ცენტრის თითოეულ წარმომადგენელს, საკრებულოში მიმდინარე პროცესების დროულად, ხარისხიანად და მიუკერძოვებლად გაშუქებისათვის. თუმცა არის ზოგჯერ ისეთი შემთხვევები, როცა საკრებულოს ხელმძღვანელობის პრიორიტეტია, იქნას თუ არა ზოგიერთი საკითხი მყისიერად გაშუქებული.

ბატონო კოლეგებო! არ შეიძლება გვევრდი აუაროთ ისეთ მნიშვნელოვან თემას, როგორც გახლავს, ურთიერთ თანამშრომლობის საკითხი მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს შორის. მრავალწლიანი, ჯეროვანი, საფუძვლიანი და სამსახურებრივი მყარი გამოცდილება მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ განვაცხადო. ეს ურთიერთობა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. III და IV მოწვევის საკრებულოს მუშაობის პროცესში არ ყოფილა შეუთანხმებელი პროცედურები მერიასა და საკრებულოს შორის. დარწმუნებული ვარ ყოველივე ასეთი ქმედება რათქმაუნდა განაპირობებს საერთო მიზნებისა და ვალდებულებების სათანადო დონეზე შესრულებას.

საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, ბატონო კოლეგებო! დღესაც ამის მომსწრენი გახდით. მერიის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელები, პასუხისმგებლობის გრძნობით წარსდგნენ საკრებულოს წინაშე მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს სახელით მინდა მადლობა გადაუხადოთ მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ დავით ბახტაძეს, მერიის დარგობრივი სამსახურის ხელმძღვანელებსა და მათ დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო მოხელეებს, სამუშაო ფუნქციით მინიჭებული საქმიანობის პირნათლად შესრულებისათვის. თუმცაღა მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ დაგავაგრძელოთდაუღალავიმუშაობაიმისათვის, რომგაცილებით უკეთესი შედეგები გვქონდეს.

რატომ და რისთვის ვართ აქ?

რატომ? - ბატონებო!

კარგად მოგეხსენებათ, რომ სამუშაო გეგმის შესაბამისად, მიმდინარე წელს მიზნად დაისახა საკრებულოს სამუშაო ოთახებსა და დერეფნების არსებული იერსახის შეცვლა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. საკრებულოს სხდომათა დარბაზის სარემონტო სამუშაოებზე ტენდერი 28 ივნისს გამოცხადდა. პროექტით განკუთვნილი სამუშაოები შეასრულა საამშენებლო კომპანიამ შ.პ.ს. „ტარა 2013“. (ღირებულება 13700 ლარი). სამუშაოები დასრულდა სექტემბრის ბოლოს, ამჟამად, მიმდინარეობს საკრებულოს სხდომათა დარბაზისათვის ავეჯისა და საჭირო ინვენტარის შეძენა. მზადდება დოკუმენტები და უახლოეს დღეებში გამოცხადდება

ელექტრონული აუქციონი ავეჯის შეძენაზე. მომავალ წელს კი იგეგმება დარბაზის აღჭურვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. ამიტომაც ვიმყოფებით მერიის სხდომათა დარბაზში. ბატონო საკრებულოს წევრებო, მადლობა გადავუხადოთ ჩვენი სახელით მუნიციპალიტეტის მერს, მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს, თანადგომისა და დახმარებისათვის.

რისთვის? –

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად არსებული ხელისუფლების პერიოდში მიღწეული წარმატებებისა ქვეყანაში და ჩვენს მუნიციპალიტეტში მოსაგვარებელია სოციალურ-ეკონომიკური, სიღარიბის, უმუშევრობის, დაბალი ხელფასებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხები და სხვა.

მე, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მივიღებ თქვენგან, სამარლიან კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს. გულწრფელად ვამბობ, ვაგებ პასუხს ჩემს მიერ დაშვებულ შეცდომებზე.

ჩვენმა თანამოქალაქეებმა უდიდესი ნდობა გამოგვიცხადეს. გვანდეს მუნიციპალიტეტის მართვის სადავეები. ვართ კანონმდებლები. ვმუშაობდით კანონისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით. კვლავაც ვიმუშავებთ, ჩვენთვის მონიჭებული უფლებამოსილების ვადით, რათა მომდევნო წლები უფრო ნაყოფიერი და შედეგიანი იყოს.